საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №84/ნ

2017 წლის 31 მაისი

ქ. თბილისი

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში (სსმ, 112, 26/09/2005) და ბრძანების:

1. პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი №2-ით გათვალისწინებული:

ა) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს – ქალაქ წალკის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებული საჯარო სკოლების თავის:

ა.ა) მე-4 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

4	წალკის მუნიციპალიტეტის დაბა ბედიანის საჯარო სკოლა	დაბა ბედიანი	დაწ-საბ-საშ.

“;

ა.ბ) მე-13 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

13	წალკის მუნიციპალიტეტის დაბა თრიალეთის საჯარო სკოლა	დაბა თრიალეთი	დაწ-საბ-საშ.

“;

ა.გ) მე-15 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

15	წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ კუშის საჯარო სკოლა	სოფელი კუში	დაწ-საბ-საშ.

“;

ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს – ქალაქ დმანისის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებული საჯარო სკოლების თავის მე-6 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

6	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ კაკლიანის საჯარო სკოლა	სოფელი კაკლიანი	დაწ. საბ.

“.

2. 2^1 პუნქტით დამტკიცებული დანართი №9-ით გათვალისწინებული საჯარო სკოლების:

ა) 169-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

169	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ქალაქ წალკის საგანმანათლებლო რესურსცენტრი	წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ კუშის საჯარო სკოლა		დაწ-საბ.-საშ.	სომხური

“;

ბ) 276-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

276	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ქალაქ დმანისის საგანმანათლებლო რესურსცენტრი	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ კაკლიანის საჯარო სკოლა		დაწ-საბ.	აზერბაიჯანული

“.

მუხლი 2
ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **ალექსანდრე ჯეჯელავა**